პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 171 (10868)

კვირა, 21 ივლისი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო (1-ლი გვერდი).

ა. ი. მიქოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო (1-ლი გვერდი).

დ. შუბითიძე. — ჰექტარზე 400 ფუთი სიმინდისათვის (1-ლი გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — ისევ იატაკქვეშეთში (მე-2 გვერდი).

ი. თედიაშვილი. — რაიკომის ლექტორი (მე-2 გვერდი).

გ. გელაშვილი. — ავკვეთოთ პურეულის დანაკარგები (მე-2 გვერდი).

გ. სიხარულიძე. — ახალი წარმატებებისათვის ფიზკულტურულ მუშაობაში (მე-3 გვერდი).

ბ. ბახტურიძე. — ერთი საწარმოს ფიზკულტურელები (მე-3 გვერდი).

ს. ესართია. — იზრდება საკოლმეურნეო სოფლის კულტურა (მე-3 გვერდი).

გ. ხუსკივაძე. — დამნაშავეებს მფარველობენ (მე-3 გვერდი).

საკვირაო ფურცელი: ხ. ვ[illegible]. — რიგელების გამოცდილებიდან; ი. გობეჩია. — ინგლისელი მწერალი [illegible]; გ. გოგიჩაიშვილი. — მეგობრობის კონცერტი; ო. სანებლიძე. — ჩინელი მხატვარი თბილისში (მე-4 გვერდი).

# სიჭაბუკის დღესასწაული

დღეს ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — ძალის, სიმხნევის, სილამაზის ზეიმს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ფიზკულტურელებისა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი არმია ამ დღეს პატაკს აბარებს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს იმ წარმატებების შესახებ, რომლებიც მოპოვებულია მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლების საქმეში.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როდესაც გმირი საბჭოთა ადამიანები თავდადებული შრომით, წარმატებით ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელებს, რომლებიც აქტიურად შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე.

საბჭოთა კავშირში ფიზკულტურასა და სპორტს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ისინი მასების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, ახორციელებენ რა დიდი ლენინის გენიალურ მითითებებს, ყველა პირობა შექმნეს ჭეშმარიტად ხალხური, მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის. ყოველწლიურად დიდძალი თანხები იხარჯება სტადიონების, მოედნების, საცურავი აუზების, ტურისტული და ალპინისტური ბაზების მოსაწყობად, ფიზკულტურელთა კადრების მოსამზადებლად. ამ ზრუნვას დიდებული ნაყოფი მოაქვს. წლითიწლობით ფართოვდება მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა, იზრდება სპორტსმენთა რიგები, მაღლდება მათი ოსტატობა. მარტო 1956 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებისა და ამ ღონისძიების ფინალურ შეჯიბრებაში 1700-მდე სპორტსმენმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება, აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგები.

საბჭოთა სპორტსმენები მტკიცედ გამოვიდნენ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე და მოიპოვეს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი. ისინი არიან ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები სპორტის მთელ რიგ სახეობებში. მელბურნში XVI ოლიმპიადაზე ჩვენი დიადი ქვეყნის სპორტსმენების მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს საბჭოთა სპორტის ძლიერება. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც მხოლოდ მეორედ იღებდნენ მონაწილეობას ოლიმპიურ ასპარეზობაში, მოიპოვეს საერთო-გუნდური პირველი ადგილი, გაუსწრეს ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც ქულების, ისე მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობითაც.

ამ წარმატებათა მოპოვების საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს. საერთაშორისო ასპარეზობებში მათ არაერთხელ დაუცავთ სახელოვნად დიადი სოციალისტური სამშობლოს სპორტული ღირსება. XVI ოლიმპიადაზე საქართველოდან წარგზავნილი 10 სპორტსმენიდან 8 ოლიმპიური მედლის მფლობელი გახდა.

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები თავდადებით იბრძვიან რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის, დედა-სამშობლოს აზარებენ ახალი წარმატებებით. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არა სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. ამიტომ ასეთ საზეიმო დღესაც უნდა ითქვას იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში არა ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება, ნაკლები ყურადღება ექცევა სასწავლო და სპორტული მუშაობის ამაღლებას. თბილისის გარეუბნის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის 6 თვეში მშთ II საფეხურის არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ. ასეთივე მდგომარეობაა ფოთის საბჭოთა მეურნეობებში. თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების საქმეში ჩამორჩებიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თეთრი წყაროს, ხობის რაიონების ფიზკულტურის ორგანიზაციები. ზოგიერთ სკოლაში არ სრულდება სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდის დარგში. მაგალითად, ახმეტის რაიონის სკოლებმა მიმდინარე წლის ექვს თვეში სრულიად დაივიწყეს იმშთ და მშთ ნიშნოსანთა მომზადების საქმე.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ საუკეთესო სპორტულ მაჩვენებელთა მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გრძელდება ჩამორჩენა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ველო და საცხენოსნო სპორტი. მეტს მოელიან რესპუბლიკის მშრომელები თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდისაგან.

ამ ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უწინარეს ყოვლისა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საბჭოებს. სადაც კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ ფიზიკურ აღზრდას, სადაც არ არის სისტემატური კონტროლი პარტიული ორგანიზაციების მხრივ, იქ ფიზკულტურული მუშაობა ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე, ფიზკულტურულ კოლექტივებში არა ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება.

ფიზკულტურული ორგანიზაციების ღირსების საქმეა სწრაფად დაძლიონ თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, მიაღწიონ ახალ წარმატებებს.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ სპარტაკიადაში, რომლის პროგრამა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ეს ავალებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ სასწავლო და სპორტული მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურული კოლექტივების გაძლიერებასა და განმტკიცებას, რადგან საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ძირითად რგოლს ფიზკულტურული კოლექტივი წარმოადგენს. მეტ ყურადღებას მოითხოვს საბავშვო და ახალგაზრდული სპორტის განვითარება, ფიზკულტურელთა ახალგაზრდა კადრების აღზრდა.

ფიზკულტურული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლო დაწესებულებაში იყოს სიცოცხლისუნარიანი, მოქმედი ფიზკულტურული კოლექტივი, აამაღლონ სპორტსმენთა ოსტატობის დონე, ამრავლონ სპორტის ოსტატთა და თანრიგოსნების რიგები. სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე სისტემატურად უნდა ეწყობოდეს საინტერესო შეჯიბრებები, სახალხო თამაშობანი.

რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ამოცანაა განამტკიცონ და გააძლიერონ საბჭოთა სპორტის მიღწევები, ახალი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო

20 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი ინდონეზიის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ ინდონეზიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალექსანდერ ა. მარამისი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი.

საუბარმა გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## სადილი ავღანეთის მეფის პატივსაცემად

სსრ კავშირში აკრედიტებულმა ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა — ელჩებმა: ინდოეთის რესპუბლიკის — კ. პ. შ. მენონმა, ეგვიპტის რესპუბლიკის — მოჰამედ ა. ელ კუნიმ, ირანის — ა. მასუდ-ანსარიმ, თურქეთის — ქემალ ნ. კავურმა, პაკისტანის ისლამის რესპუბლიკის — ა. ჰუსეინმა, ბირმის კავშირის — უ ჩინმა, ეთიოპიის — ზაუდე გაბრა ჰიოტმა, ინდონეზიის რესპუბლიკის — ა. ა. მარამისმა, ავღანეთის — აბდულ ჰაქიმმა, იაპონიის — სუემიცუ კადოვაკიმ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის — ნგუენ ვან კინმა, ცეილონისა — გ. პ. მალალასეკერამ, ლიბანის რესპუბლიკის დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა — აბდალა ნაჯარმა, დროებითმა საქმეთა რწმუნებულებმა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის — ჩენ ჩუმ, სირიის რესპუბლიკის — ი. მარაშმა, კამბოჯის — ს. ტიმმა, ტაილანდის — მ. სრინაგანანდმა, სუდანის რესპუბლიკის — ს. ო. ჰაშიმმა სადილი გამართეს ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სარდარ მუჰამედ ნაიმი და ავღანეთის მეფის თანმხლები სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები: ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. კუზმინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ვ. ზახაროვი და ვ. ს. სემიონოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე იყო აგრეთვე ინდონეზიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო.

სადილის დროს სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

## მისი უდიდებულესობა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი მოსკოვში

19 ივლისს მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ნ. ს. ხრუშჩოვს.

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ ავღანეთის მეფემ დაათვალიერა ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი და ბინა კრემლში. ექსკურსიამძღოლმა, რომელიც ახსნა-განმარტებას იძლეოდა, უამბო შაჰს, რომ 1919 წლის თებერვალში ლენინმა მიიღო ავღანეთის ელჩი მირზა მუჰამედ იაფტალი, რომელიც ამჟამად ავღანეთის მეფის თანამგზავრთა შორის არის. ლენინმა მაშინ სთხოვა ელჩს გადაეცა ავღანეთის მთავრობისათვის, რომ საბჭოთა რუსეთი მხურვალედ უჭერს მხარს აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

საპატიო სტუმართა წიგნში ავღანეთის მეფემ შემდეგი ჩაწერა: „მოხარული ვარ, რომ კარგი შემთხვევა მქონდა მენახა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ხელმძღვანელის ლენინის ბინა".

19 ივლისს დღისით მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ ა. ბ. არისტოვი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ჟუკოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და მ. ა. იბრაჰიმოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმეზე იყვნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სარდარ მუჰამედ ნაიმი და სხვა პირები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მის უდიდებულესობასთან ერთად, აგრეთვე ავღანეთის ელჩი აბდულ ჰაქიმი და საელჩოს თანამშრომლები. (საკდესი).

## ა. ი. მიქოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო

19 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ი. მიქოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ინდონეზიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ალი სასტროამიჯოიო, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფება, და მეგობრული საუბარი ჰქონდათ მასთან.

ბ-ნ ალი სასტროამიჯოიოს ახლდა ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალექსანდერ ა. მარამისი.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი.

(საკდესი).

## ---- აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი ----





თელავი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის მეაბრეშუმეები აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს იღებენ. სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ს. ჯიმუხაშვილმა 7 გრამი აბრეშუმის ჭიის თესლიდან გეგმით გათვალისწინებული 28 კილოგრამის ნაცვლად 42,7 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო და ჩააბარა სახელმწიფოს.

აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს იღებენ და აბარებენ თელავის საგრენაჟო ქარხანას აგრეთვე სოფლების იყალთოს, კურდღელაურის, შალაურის, კისისხევის, წინანდლის და სხვა კოლმეურნეობების მეაბრეშუმეები.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა ამჟამად ახალი მოსავლის აბრეშუმის პარკზე მუშაობს და წარმატებით ასრულებს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

• • •

სურათებზე: 1. თელავის საგრენაჟო ქარხნის ლაბორანტი ტ. მანუკოვა (მარცხნივ) იღებს სოფელ კურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმის ნ. მამუკელაშვილის მიერ ჩაბარებული პარკის ნიმუშს; 2. თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მოწინავე პარკის მხარშველი ნინო ლალიაშვილი ყოველთვიურ დავალებას 104-105 პროცენტით ასრულებს და 5-5 კილოგრამ ნედლეულის ეკონომიას ეწევა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მეშახტეებს გადაეცათ ჯილდოები

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ საზეიმო ვითარებაში მოხდა მოწინავე მეშახტეებისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოების — ორდენებისა და მედლების გადაცემა.

პირველი ჯილდო — ლენინის ორდენი გადასცეს ლენინის სახელობის შახტის სახელგანთქმულ მებიგეს ი. სახელაშვილს. შრომის წითელი დროშის ორდენები მიიღეს ძველმა მეშახტეებმა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ნ. ქარქაშაძემ და სტალინის სახელობის შახტის მნგრეველმა მ. ლანჩავამ. „საპატიო ნიშნის" ორდენები გადაეცათ ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის დირექტორს ლ. მესარქიშვილს, სტალინის სახელობის შახტის მნგრეველს ა. ღვინე-ფა[illegible] სამთო მაშველი ჯგუფის მეთა[illegible]ს მოადგ[illegible]ეს გ. ლოსაბერიძე[illegible] და ლენინის სახელობის შახტ[illegible] გვირაბგამყვანს გ. ჩივაძეს. მედალი „შრომითი მამაცობისათვის" მიიღო სტალინის სახელობის შახტის მნგრეველმა ო. ცეცხლაძემ, მედალი „შრომითი წარმატებისათვის" — ლენინის სახელობის შახტის მებიგემ ე. რიჟამაძემ, ამავე შახტის გვირაბგამყვანმა დ. ხარიტონოვმა და სამთო მაშველი ჯგუფის ხელმძღვანელმა ს. ჯიხვაშვილმა.

დაჯილდოებულებს სიტყვით მიმართა და შრომაში წარმატება უსურვა ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გიორგობიანმა.

## დუშეთში დაიწყო პურეულის აღება

დუშეთი. (საკ. კორ.). ბარის ზონის კოლმეურნეობების მინდვრებში ქერი და ხორბალი შემოვიდა. დაიწყო მოსავლის აღება. ამ სამუშაოზე ყოველდღიურად 20 კომბაინი მუშაობს.

მკის პირველი დღიდანვე სოფელ დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში თვითმავალი კომბაინით მუშაობს ა. დურგლიშვილი. მან დღენახევარში მომკა 20 ჰექტარი ქერი ნაცვლად 12 ჰექტარისა. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 9 ცენტნერისა. ქერის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფლების ბაზალეთის, ჭოპორტის და ოძისის კოლმეურნეობებში.

### მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

## ჰექტარზე 400 ფუთი სიმინდისათვის

ხაშურის რაიონის სოფელ გომის კოლმეურნეობის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს სიმინდის კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ აქ სიმინდის მოყვანას ძველთაგანვე მისდევენ, კოლმეურნეები მაინც დაბალ მოსავალს იღებდნენ.

უკანასკნელ წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში შესამჩნევად გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. კერძოდ, საქართველოში გვყავს ბევრი ისეთი ნოვატორი, რომლებიც სიმინდის სარეკორდო მოსავალს იღებენ. ჩემი მიღწევა მათთან შედარებით მცირეა, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობებს, თუმცა ქართლშიც შეიძლება დიდ ფართობებზეც მივიღოთ მაღალი მოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჯერ კიდევ არა მაქვს დიდი გამოცდილება, შარშან მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ ფართობზე 288 ფუთი სიმინდი მოვიყვანე მარცვლად. ამაზე უფრო მაღალი მოსავალი ჯერ არავის მიუღია ჩვენს კოლმეურნეობაში და მთელ რაიონშიც კი.

ასეთ წარმატებას იმით მივაღწიე, რომ სიმინდი დავთესე ჰიბრიდული (პიონერი-371) დაყალიბებული თესლით აგროტექნიკურ ვადაში და მთლიანად მზრალად მოხნულ ნიადაგში. ხვნის წინ მთელ ფართობზე შევიტანე ორი ცენტნერი მინერალური სასუქი, ხოლო თესვის დროს თესლთან ერთად კვლავ შევიტანე ერთი ცენტნერი მინერალური სასუქი. სიმინდი დავთესე კვადრატულ-ბუდობრივად.



დ. შუბითიძე.

როცა სიმინდი აღმოცენდა და გაიკეთა ორი-სამი ფოთოლი, მტს-მა მაშინვე განახორციელა ცალმხრივი კულტივაცია, ხოლო ექვსი დღის შემდეგ ჩავატარე პირველი თოხნა. ბუდნაში დავტოვე 2-3 ძირი ძლიერი მცენარე და მოვრწყე. ორი კვირის შემდეგ განხორციელდა მეორე კულტივაცია და ოთხი დღის შემდეგ — მეორე თოხნა. მეორე თოხნის დროს სიმინდის ძირებს შემოვაცალე ნამხრევები და შემოვაყარე ფხვიერი მიწა. ორი დღის გასვლის შემდეგ მეორედ მოვრწყე. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად მცენარემ შეინარჩუნა 2-3 ტარო. თვითეული ტაროს წონა 300-400 გრამს შეადგენდა.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნო, რომ წარმატება გაცილებით მეტი შეიქნებოდა, ზუსტად რომ ყოფილიყო დაცული მთელი აგროტექნიკა. მაგალითად, იმის გამო, რომ მტს-ის სათესი სწორად არ იყო გამართული, ბუდნების თესვას აწარმოებდა 90 სანტიმეტრის დაშორებით ნაცვლად 70 სანტიმეტრისა. ამან დიდი გავლენა მოახდინა ძირთა რაოდენობაზე. ნაცვლად 45.000 ძირი მცენარისა, ჰექტარზე შევინარჩუნე მხოლოდ 30.000 ძირი. ამას გარდა, მზრალად ხვნის წინ ნიადაგში არ შეგვიტანია ორგანული სასუქი.

ეს მდგომარეობა მხედველობაში მივიღეთ. მიმდინარე წელს სიმინდი საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაითესა, ჰექტარზე შევინარჩუნებ სულ მცირე 45.000 მცენარეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავები კოლმეურნე ანა ქოჩიშვილთან და ვალდებულება ვიკისრე ერთ ჰექტარ ფართობზე მოვიყვანო 400 ფუთი სიმინდი.

**დუშა შუბითიძე,**
ხაშურის რაიონის სოფელ გომის კოლმეურნეობის წევრი.




# ისევ იატაკქვეშეთში

მუშათა და ჯარისკაცთა 16-17 (ძველი სტილით 3-4) ივლისის მშვიდობიანმა დემონსტრაციამ შეაშფოთა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა. მან დემონსტრანტებს სროლა აუტეხა, სისხლით შეიღება პეტროგრადის ქუჩები. ბოლშევიკური პარტია ხედავდა, რომ პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება დამთავრდა, აღარ იყო ორხელისუფლებიანობა. საბჭოები მენშევიკებისა და ესერების ხელში დროებითი მთავრობის უბრალო დანამატს წარმოადგენდნენ. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციის ხელში გადავიდა, გაძლიერდა რეაქცია ყველა მიმართულებით, დაიწყო ბოლშევიკური პარტიის, მისი ბელადების დევნა, დაპატიმრება.

17 (4) ივლისს იუნკრებმა დაარბიეს „პრავდის" რედაქციის ბინა, „ტრუდის" სტამბა და სხვ. ლენინი შემთხვევით გადარჩა დაღუპვას. იგი რედაქციიდან წავიდა ბანდიტურ თავდასხმამდე ნახევარი საათით ადრე.

რეაქცია ცდილობდა გასწორებოდა რევოლუციის დიდ ბელადს. მას დაუწყეს დევნა, ცილს სწამებდნენ, თითქოს იგი გერმანიის აგენტი იყო.

ყოველივე ეს შეთითხნილი იყო პროვოკატორთა მიერ. ამ საქმეში განსაკუთრებით „ისახელეს" თავი ალექსინსკიმ, რომელიც ერთ დროს იყო ვპერიოდელი, II სახელმწიფო სათათბიროს წევრი, არჩეული პეტროგრადის მუშების მიერ, და ესერების პარტიის წევრმა პანკრატოვმა. მათ გაავრცელეს ხმები, თითქოს მათ აქვთ იმის დოკუმენტები, რომ ლენინი გერმანიის ჯაშუშია.

რეაქციას ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ შეემცირებინა ლენინის გავლენა მასებზე და ფიზიკურად გასწორებოდა მას.

20 (7) ივლისს დროებითმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება ვ. ი. ლენინისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა დაპატიმრების შესახებ. კერენსკის აგენტები, იუნკრები, ოფიცრები დაგეშილი დაეძებდნენ ლენინს, დიდ გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ იმათ, ვინც მას მოსძებნიდა და შეიპყრობდა, მაგრამ ამაოდ. ი. ბ. სტალინმა, ი. მ. სვერდლოვმა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებმა წინასწარ მიიღეს ზომები, 18 (5) ივლისს გააფრთხილეს ლენინი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. 20 (7) ივლისს იუნკრები შეიჭრნენ იმ ბინაში, სადაც ლენინი თავის დასთან ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვასთან ცხოვრობდა, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. ლენინი იქ არ აღმოჩნდა.

ორი დღის განმავლობაში ლენინი პეტროგრადში იცვლიდა ბინას. პირველად იგი მ. ლ. სულიმოვას ბინაში გადავიდა, რომელიც ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის მდივანი იყო. იგი თავის მოგონებაში ასე აგვიწერს ამ ამბავს:

„...5 ივლისს დილით მე გამაღვიძა ზარის ხმამ, რომელიც სადარბაზო კართან გაისმა. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ მეგობრები და მე წავედი, რომ კარი გამეღო ნაადრევი მნახველებისათვის... ამჯერად მნახველები აღმოჩნდნენ იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

— მობრძანდით! — შემოვიპატიჟე მოსულები.

— თქვენთან მოვედით, — მითხრა სვერდლოვმა, — ვლადიმერ ილიას-ძე თქვენთან დარჩება. თქვენ კი სახლიდან არ უნდა გახვიდეთ. ახლა თქვენი მოვალეობაა მუდამ ფხიზლად იყოთ.

ჩემი განცვიფრება რომ შენიშნა, ლენინმა მიამბო, რაც მოხდა წინაღამით: „პრავდის" რედაქცია დარბეულია იუნკრების მიერ, ქშესინსკაიას სასახლის რაიონი ალყაშემორტყმულია. დროებითი მთავრობის დამქაშები ყოველგვარ უწესოებას სჩადიან. და იგი იძულებულია დაიმალოს ჩემს სახლში... სვერდლოვი მაშინვე წავიდა. მას ძალიან აწუხებდა მომხდარი ამბავი. დიდად აღელვებდა ჩვენი დოკუმენტების ბედი".

მაგრამ რადგან მოსალოდნელი იყო ამ ბინის გაჩხრეკაც, ლენინი მაშინვე გადავიდა ფოფანოვას, ხოლო შემდეგ ძველი ბოლშევიკის ს. ი. ალილუევის ბინაში, სადაც ცხოვრობდა 19 (6) ივლისიდან 24 (11) ივლისამდე. ს. ალილუევი თავის მოგონებაში ასე აგვიწერს ამ ამბავს:



„და მართლაც, 6 ივლისს დილით ლენინი ჩვენს სახლში შემოვიდა. მიიხედ-მოიხედა და თავისი ჩვეული ძალდაუტანებელი მანერით დაუწყო გამოკითხვა ოლღა ევგენის ასულს — რამდენი ვართ ოჯახში, ვინ რაზე მუშაობს, როგორ ვცხოვრობთ და რას ვაკეთებთ.

— თქვენ აქ არავინ ხელს არ შეგიშლით და თქვენც არავის არ შეაწუხებთ, — არწმუნებდა ჩემი ცოლი ჩვენს მორიდებულ და მზრუნველ სტუმარს: — ჩემი ქმარი დღედაღამ თავის ელექტროსადგურშია, მე ჰოსპიტალში ვარ, შვილები კი ქალაქში არ არიან. ასე რომ, თქვენ, ვლადიმერ ილიას-ძევ, შეგიძლიათ ისე მოთავსდეთ, როგორც გნებავთ.

რაკი დარწმუნდა, რომ მართლაც არავის არ შეუშლიდა ხელს, ვლადიმერ ილიას-ძემ საცხოვრებლად აირჩია დერეფნის ბოლოს პატარა ოთახი, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა. მართალი რომ ითქვას, ეს ოთახი ჩვენ კი არ გვეკუთვნოდა, არამედ ეკუთვნოდა ამხანაგ სტალინს, რომელმაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გვთხოვა შეგვენახა იგი მისთვის ჩვენს ახალ ბინაში".

მაგრამ ალილუევის ბინაც საშიში იყო, რადგან მოსალოდნელი იყო მისი გაჩხრეკა, და 24 (11) ივლისს ღამით ი. ბ. სტალინმა და ალილუევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ლენინი გადაიყვანეს მუშა ნ. ა. ემელიანოვთან სადგურ რაზლივში პეტროგრადიდან 30 კილომეტრზე, ფინეთის რკინიგზაზე. იქ გადასვლის წინ ლენინმა წვერ-ულვაში გაიპარსა, თმა შეიკრიჭა და იმდენად გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობდნენ.

ნ. ა. ემელიანოვი ამ ამბავს ასე აგვიწერს:

„მე ვცხოვრობდი ცალკე პატარა სახლში სადგურ რაზლივში. ჩემთან მოვიდა ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი სესტრორეცკის ქარხნიდან. მან მითხრა:

— ამხანაგო ემელიანოვ, ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენ დაგავალათ დამალოთ ლენინი.

— დიდად მოხარული ვარ, — ვუპასუხე მე.

და მაშინვე პასუხისმგებლობის მღელვარე გრძნობამ შემიპყრო: ლენინი დავმალო! ვუთხარი:

— დავმალავ, მაგრამ ახლა კიდევ არ ვიცი, როგორ.

— ეს კარგად მოიფიქრე.

იგი წავიდა. მე მოვეთათბირე მეუღლეს. ისიც პარტიის წევრი იყო. სახლში ილიჩის დამალვა სახიფათოა. გარშემო მოაგარაკენი არიან. თითქმის ერთსა და იმავე დროს დაგვებადა აზრი: რაზლივის მცხოვრებლები ხშირად ქირაობდნენ ფინელებს ტბას გაღმა თივის სათიბად. ჩვენც გადავწყვიტეთ: როგორც დაქირავებული მთიბავი ილიჩი მოგვეთავსებინა კარავში ტბას გაღმა.

მეორე დღეს მოვიდა ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული. მე მას მოვახსენე ჩემი გეგმა.

კარგად მოგიფიქრიათ! — დაგვეთანხმა იგი.

მალე იგი ისევ მოვიდა ჩვენთან და შეგვატყობინა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ჩემი წინადადება".

რაზლივში ლენინი თავდაპირველად ფარდულის სხვენში იმალებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ იგი ტბას გაღმა დაბინავდა ქოხში, სადაც დარჩა აგვისტომდე, ე. ი. ასცევებამდე. ლენინთან აქ ხშირად მოდიოდნენ სვერდლოვი, სტალინი, ძერჟინსკი, ორჯონიკიძე, კრუპსკაია. ეს ადგილი ბოლშევიკური პარტიის ნამდვილ შტაბს წარმოადგენდა.

ლენინს ამ გადასვლა-გადმოსვლის დროს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. იგი იქიდან ხელმძღვანელობდა პროლეტარული რევოლუციის მომზადებას, ააშკარავებდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის კონტრრევოლუციურ ბუნებას, ესერებისა და მენშევიკების მოღალატურ მოქმედებას, საკადრის პასუხს აძლევდა პოლიტიკურ შანტაჟისტებსა და ცილისმწამებლებს. ლენინი მათ უპასუხებდა: ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვეკუთვნით ბოლშევიკურ პარტიას, „ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებას და სინდისს".

ლენინს უნდოდა გამოცხადებულიყო სასამართლოში და ემხილებინა პროვოკატორები, მაგრამ სტალინისა და სხვა ამხანაგების რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე.

* * *

**სურათზე:** ვ. ი. ლენინი ქოხში, რაზლივის მახლობლად.

# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

## მოსავალი აღებულია 184.194 ჰექტარზე

ფართო ფრონტით არის გაჩაღებული თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. რესპუბლიკაში 15 ივლისისათვის მოძკილი იყო 184.194 ჰექტარი პურეული, გეგმის 52,7 პროცენტი. შარშან ამავე პერიოდისათვის მოსავლის აღების დავალების შესრულება უდრიდა 26,4 პროცენტს.

ქარელის რაიონში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 39,8 პროცენტით, ხაშურის — 19,1, გორის — 25,3, კასპის — 44,8, დუშეთის — 18,7, თეთრი წყაროს — 46,7, გურჯაანის — 97,2, კაჭრეთის — 75,8, სიღნაღის — 96,2, წითელწყაროს — 88,8, თელავის — 80,6, ახმეტის — 82,4, ყვარლის — 93,8, ლაგოდეხის — 100, გარეუბნის — 55,8, მცხეთის — 55,1, მარნეულის — 78, ბოლნისის — 76,8, საგარეჯოს — 70,8, დმანისის რაიონში 5 პროცენტით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 7,4 პროცენტით.

## პირუტყვის საკვების დამზადება

დადგა ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვის გადამწყვეტი პერიოდი. 15 ივლისისათვის რესპუბლიკაში გათიბული იყო 40.720 ჰექტარი ბუნებრივი ბალახები, რაც დავალების 19,2 პროცენტს შეადგენს. ნათესი ბალახები გათიბულია 13.975 ჰექტარი, გეგმის 30,1 პროცენტი.

წალკის რაიონში გეგმით ბუნებრივი ბალახები უნდა გათიბონ 23.193 ჰექტარზე. ამ სამუშაოს წალკელები ამ დღეებში შეუდგნენ და გათიბეს პირველი 221 ჰექტარი. დუშეთის რაიონში დავალება შესრულებულია 29,3 პროცენტით, ახალქალაქის — 2, ახალციხის — 29,1, ასპინძის — 28,2, თეთრი წყაროს — 22,1, თიანეთის — 13,2, კაჭრეთის — 32,8, სიღნაღის — 36,1, წითელწყაროს — 67,4, გარეუბნის — 41, მარნეულის — 64, ბოლნისის — 67,7, საგარეჯოს — 50,7, დმანისის რაიონში — 17,7, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 29,6 პროცენტით.

## შეტეხილია 10.924.707 ზონარმეტრი თამბაქო

ჩვენი რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა 15 ივლისისათვის შეტეხეს 10.924.707 ზონარმეტრი თამბაქო, რაც გეგმის 7 პროცენტს შეადგენს. შარშან ამავე პერიოდისათვის თამბაქოს შეტეხის დავალება შესრულებული იყო 1,1 პროცენტით.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხილია 2.339.734 ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის — 2.561.355, ბოლნისის რაიონში — 377.350, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 4.699.900, აჭარის ასს რესპუბლიკაში კი 946.368 ზონარმეტრი.

# აღვკვეთოთ პურეულის დანაკარგები

დაძაბული დღეებია საგარეჯოს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე. ივრისა და საგარეჯოს მტს-ების კომბაინერთა უმეტესობა პურეულის აღებას უკვე მორჩა. ზოგი მათგანი დასახმარებლად სართიჭალის მტს-ის ზონაში გადავიდა. ამ მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა ნაკვეთებზე კომბაინები თავთავიანი კულტურების მოსავალს 7.084 ჰექტარზე იღებენ. მარტო სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში პურეული ასაღებია 3.000 ჰექტარზე. ამ კოლმეურნეობის ერთ-ერთ ნაკვეთზე, რომელსაც „ქოჩორას" ეძახიან, საშუალოდ ჰექტარზე 28-29 ცენტნერ ხორბალს ლეწავენ. ამ ნაკვეთში პურეულს მკის კომბაინერი დ. მეცხვარიშვილი. მის აგრეგატზე მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს. წარჩინებული კომბაინერის ვალდებულება იყო სეზონში პურეული მოემკა 300 ჰექტარზე. საქმემ გაუსწრო სიტყვას. დ. მეცხვარიშვილმა სამგორის მტს-ის ზონაში, სადაც დასახმარებლად იმყოფებოდა, 7 დღეში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით პურის მოსავალი აიღო 160 ჰექტარზე. ამდენსავე დღეში სართიჭალის კოლმეურნეობის ნაკვეთზე მომკა 200 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე 15-16 ცენტნერზე ნაკლები არ გაულეწავს. დ. მეცხვარიშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა (მეშტურვალე კ. ბურდული, ტრაქტორისტი ს. ბიტარაშვილი) იკისრა მოსავალი აიღოს კიდევ 100 ჰექტარზე.

წარმატებით მუშაობს აგრეთვე კომბაინერი ბ. აბელაშვილი, რომელიც დ. მეცხვარიშვილს ეჯიბრება. მის აგრეგატს უკვე მომკილი აქვს 310 ჰექტარი პური.

არის ნაკლიც. კომბაინერმა თ. კუსრაშვილმა თვითმავალი კომბაინით აგრეგატის ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო 8 დღეში მხოლოდ 55 ჰექტარი მომკა. შეფერხებით მუშაობენ აგრეთვე კომბაინერების გ. ზუმბაძისა და ი. ხუდიაკის აგრეგატები. მათ კომბაინებს ნამჯის შემგროვებლები არ უვარგა და ამ მიზეზით ნამჯის დიდი დანაკარგებია. კომბაინერი ს. ბანცაძე სართიჭალის კოლმეურნეობის ნაკვეთში პურეულს იმდენად მაღალ პრაზე მკიდა, რომ ზოგან თავთავები მოუმკელი რჩებოდა. ამასთან დიდია ნამჯის დანაკარგები. ასევე ცუდად მუშაობს კომბაინერი ს. მჭედლიშვილი.

პურეულის დანაკარგების წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან სოფელ ხაშმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მემინდვრეობის პირველი ბრიგადის (ხელმძღვანელი ვ. კონიაშვილი) ნაკვეთში აღებული 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე სულ მცირე 3-4 თავთავი იყო დარჩენილი.

სართიჭალის მტს-ს წელს პურეული ორ ფაზად (გაყოფით) 100 ჰექტარზე უნდა აეღო. ფაქტიურად ამ პროგრესული წესით პურეული მომკეს მხოლოდ 50 ჰექტარზე, საგარეჯოს მტს-ში კი — 28 ჰექტარზე, ისიც დაბალხარისხოვნად.

რაიონის ცალკეული კოლმეურნეობები სერიოზულად მოეკიდნენ სახელმწიფოსათვის პურის დროულად ჩაბარებას. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ" პურის ჩაბარების გეგმა ჯერ კიდევ 12 ივლისისათვის შეასრულა. წარმატებით აბარებენ პურს სახელმწიფოს სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის, საგარეჯოს რუსთაველის სახელობის, სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობისა და ჩაილურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს გულგრილად უყურებს და სწორედ ამიტომაა, რომ რაიონში სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საერთო ტემპი არადამაკმაყოფილებელია. 13 ივლისს პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. უნაფქოშვილი) სამ კალოზე ცისქვეშ 800 ტონაზე მეტი მარცვლეული იყო დაგროვილი, მაშინ როცა ამავე დღისათვის კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა მხოლოდ 60 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

დრო არ ითმენს. მოსავლის აღების დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

**გ. ბელაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მოწინავე მეჩაიე

ჩაის პლანტაციებში დაძაბული დღეებია. თვითეულმა მეჩაიემ კარგად იცის, რომ ივლისი ძირითადად გადაწყვეტს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების ბედს.

ეს კარგად აქვს გათვალისწინებული ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს ალექსანდრა ცინცაძეს. იგი მოსავლელად მიჩენილ 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ტრიალებს, მზრუნველობას არ აკლებს ბუჩქებს და მოსავალსაც უხვს იღებს.

ალექსანდრა ცინცაძე თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც 0,7 ჰექტარზე 4 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებას ითვალისწინებს, პირნათლად გაანაღდოს. იგი დღეში კრეფს 100 კილოგრამ ჩაის ნედლეულს, ცალკეულ დღეებში კი 120 კილოგრამსაც. ამ მოწინავე მეჩაიეს დღემდე მოკრეფილი აქვს სულ 3.250 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი. **სურათზე:** ალექსანდრა ცინცაძე მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში ჩაის ფოთლის კრეფის დროს.

ფოტო შ. კუკულავასი.



# რაიკომის ლექტორი

მოსაღამოვდა. ლიახვის ხეობის სოფლებს ბინდი დაეფინა. შორს, მთის პატარა სოფლებში ილიჩის ნათურები აციმციმდნენ.

ჩამობნელდა, მაგრამ სოფელი დასაძინებლად როდი ემზადებოდა. დაძაბულ შრომაში მზისაგან გარუჯული ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად ქრიამულით იკრიბებოდნენ ეზოებში და შემდეგ სასკოლო შენობისაკენ მიიჩქაროდნენ.

ასე შეიკრიბნენ წინა კვირა საღამოს სტალინირის რაიონის სოფელ კეხვის კოლმეურნეები: კეხვი ვაშლის ქართული ჯიშის — „კეხურას" სამშობლოა. სოფელი ხეხილის ბაღებშია ჩაფლული.

...შეკრებილნი ლექტორს ელოდებიან. დანიშნულ დროზე დარბაზში შემოვიდა შუახნის, საშუალო ტანის, შავგვრემანი კაცი — შალვა გიორგის-ძე ნებიერიძე.

— მოვიდა ჩვენი შალვა! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკეს კოლმეურნეებმა.

არტელის რიგითი წევრების გარდა ლექციას ესწრებოდნენ სოფლის ინტელიგენცია — აგრონომი, ექიმი, მასწავლებლები. მათ არაერთხელ მოუსმენიათ შალვა ნებიერიძის შინაარსიანი ლექციები.

ლექტორი მალე შეუდგა თემის — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის" თხრობას. დარბაზი სიჩუმემ მოიცვა. დამსწრეთ აინტერესებთ, როგორ იბრძვის საბჭოთა კავშირი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის. ლექტორმა კარგად ილაპარაკა იმპერიალისტთა ავანტიურისტულ გეგმებზე. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს ამჟამად პარტია და საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების და მსოფლიოს ყველა ხალხთა მეგობრული ურთიერთობის ლენინური კურსისათვის.

— ამასთან დაკავშირებით, — ამბობს ლექტორი, — საჭიროა მოვიგონოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. ეს ანტიპარტიული ჯგუფი საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის დარგში იჩენდა ჩამორჩენილობას, ყოველნაირად უშლიდა ხელს იმ დიდ, ახალ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენი პარტიის მიერ ხორციელდებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად, სამართლიანად დაგმო მათი ანტიპარტიული, ფრაქციული საქმიანობა.

საბჭოთა ხალხი მსოფლიოს პატიოსან მშრომელებთან ერთად იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობის მომხრეთა სათავეში იდგა და დგას ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც ყველა ქვეყნის მშრომელები შესცქერიან, როგორც მშვიდობის ბურჯს, მშვიდობის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ნებიერიძე ლექციის თემას მოფიქრებულად უკავშირებს საკოლმეურნეო საქმეებს. იგი შესანიშნავად იცნობს სოფლის ცხოვრებას, იცის, რა მდგომარეობაშია კოლმეურნეობა, თვითეული კოლმეურნის ავკარგი. შალვა ხომ ამ სოფელში დაიბადა, დავაჟკაცდა და გამოიწრთო. 23 წელია საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობს, ამდენივე წელია პროპაგანდისტია, 15 წელია ლექციებს კითხულობს.

კეხვის კოლმეურნეობა მდებარეობს ლიახვის მარჯვენა ნაპირას, ვიდრე ჯავის ვიწროებს მიადგებით. წინათ არტელის ეკონომიკა უგეგმოდ ვითარდებოდა. ხეხილის ბაღები, შაქრის ჭარხალი, ვენახი, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობას დიდ შემოსავალს მისცემდა, უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ლექტორს მხედველობიდან არ გამორჩა არტელის ძველი მაჩვენებლები. ისინი დაუპირისპირა ახალ მონაცემებს, აღნიშნა ცალკეული ბრიგადების, რგოლების, კოლმეურნეების წარმატებანი, ამასთან დაასახელა ჩამორჩენილებიც, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ სხვებს.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, — აღნიშნა ლექტორმა, — გასულ წელს მეორედ შეასრულა წველადობის დავალება. ეს მიღწეულია მეცხოველეობისადმი ყურადღების გაძლიერებით, საკვები ბაზის გაფართოებით. აი მოწინავე მწველავი დარო ნებიერიძე. მან დღეისათვის უკვე შეასრულა წველადობის დავალება — თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 830 ლიტრი რძე. კოლმეურნეობას კი ვალდებულება აქვს 1.100 ლიტრი რძე მიიღოს თვითეულ ძროხაზე.

შალვა ასახელებს სხვა მოწინავე მწველავებს, მწყემსებს — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს მაყვალა მელანაშვილს, ელო ზანგალაძეს, რომლებიც ახლა აქტიურად შრომობენ საკოლმეურნეო წარმოებაში.

აგერ გოგი კახნიაშვილი და ვანო გაგლოშვილი, — ამბობს ლექტორი. — ისინი სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდნენ კოლმეურნეობაში, რათა შეეშველონ უფროსებს შრომაში. ეს ახალგაზრდები გამოცდილ კოლმეურნეებს როდი ჩამორჩებიან გუთანზე, კალოზე, მოსავლის აღების სამუშაოებზე. სილოსის დამზადებაში ხომ პირდაპირ დახელოვნდნენ. ასეთი ახალგაზრდებით ამაყობს სოფელი, სკოლა, ამაყობენ მათი მშობლები, ამხანაგები, მაგრამ აქ ესწრება რამან ხაჭაპურიძე. მანაც ხომ ჩვენი სკოლა დაამთავრა, თუმცა იქაც ზარმაცობდა, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოეწყო და ახლა კოლმეურნეობაშიც არ მუშაობს.

დამსწრეებმა დარბაზში უკან მოიხედეს იქ, სადაც ხაჭაპურიძე იჯდა. რამანს სახე ასწითლებოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ თავი ჩაჰკიდა.

შალვამ ლექციის დასასრულს დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა მოსავლის აღების სამუშაოებზე. კოლმეურნეებს მოუწოდა უდანაკარგოდ და სწრაფად აიღონ უხვი მოსავალი, იბრძოლონ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის იმ მოწოდების განხორციელებისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. შემდეგ ლექტორი გულმოდგინედ უსმენდა ლექციის გარშემო კოლმეურნეთა შორის გამართულ მსჯელობას...

— მართლაც საუცხოო ადამიანია შალვა. კარგად მახსოვს მისი ბავშვობა. ვინ მოთვლის, რამდენი მისი ლექცია-მოხსენება მოგვისმენია. ომის დროს წუთს არ კარგავდა, სოფლიდან სოფელში ათეული კილომეტრის მანძილზე ფეხით დადიოდა, — ხალხს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას, გამარჯვების რწმენას უნერგავდა, — გულთბილად მოუთხრობდა მოწინავე კოლმეურნე, რაიონული საბჭოს დეპუტატი ა. ნებიერიძე ლექციიდან შინ მიმავალ თანასოფლელებს.

დიახ, შალვა ნებიერიძე მართლაც ასეთი ადამიანია. ზამთრის სუსხიან დღეებსა და ზაფხულის პაპანაქებაში ავტომანქანით, მოჭრიალე ურმით თუ ფეხით ხშირად ეწვევა ხოლმე ქურთისა და ქემერტის სასოფლო საბჭოს, კეხვის, აჩაბეთის, თამარაშენის, ძარწემის, ქემერტის, ხეითის, ზალდის, სვერის კოლმეურნეობებს, სტალინირის რაიონის სხვა სოფლებს. ყველგან ხვდებიან როგორც პატივსაცემ სტუმარს, ძვირფას მეგობარსა და მრჩეველს, ახალი ამბების საუკეთესო მთხრობელს, მგზნებარე პროპაგანდისტსა და აგიტატორს.

— სალექციო მუშაობა მეტად მიმზიდველი და საყვარელი საქმეა, — ამბობს შალვა გიორგის-ძე, — ლექციების მოწყობა ყველგან შეიძლება: სასოფლო კლუბში, ქოხ-სამკითხველოში, სკოლაში, მინდვრად. როგორც წესი, ლექციის მოსასმენად კოლმეურნეები მოდიან და მსჯელობენ მათთვის საინტერესო თემებზე, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე და სხვ.

აგიტატორების, პროპაგანდისტების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების შეკრებაზე ნებიერიძე იშვიათი სტუმარი როდია. პარტიის რაიკომის დავალებით იგი მათთვისაც კითხულობს ლექციებს.

ამას წინათ ნებიერიძემ რაიონის კულტსაგანმანათლებლო მუშაკების შეკრებაზე წაიკითხა ლექცია „ვ. ი. ლენინი ორი სისტემის თანაარსებობას შესახებ".

ნებიერიძე ყოველთვის სიამაყით ლაპარაკობს პარტიის მტკიცე ერთიანობის, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ, აგრეთვე ხშირად საუბრობს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გაუმჯობესების საკითხზე.

— სამხრეთ ოსეთის მთის კოლმეურნეობებს, — აცხადებს ლექტორი, — პარტია და მთავრობა დიდად დაეხმარნენ. მათ მთელი რიგი შეღავათები მიეცათ ფულად გადასახადებსა და სახელმწიფო დამზადებაში. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია შემდგომ მუშაობაში!

შალვა გიორგის-ძეს პატივს სცემენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. ეს პატივისცემა მან დაიმსახურა დაუზარელი შრომით, პარტიული დავალებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას პარტიული დავალება არ შეესრულებინოს — ყოველთვიურად 5-6 ჯერ გამოდის კოლმეურნეთა წინაშე ლექციით.

პარტიის რაიკომის მდივანს ვ. სანაკოევს ხშირად მიუმართავს ლექტორისათვის.

— ძარწემელები ლექციას გვთხოვენ საერთაშორისო თემაზე. აბა, შენ იცი, ლექციის მოწყობაა საჭირო. ამასთან გთხოვთ მიხედო პირუტყვის ფერმას, გაიგე, რაშია საქმე, რატომ ჩამორჩა წველადობაში ეს მოწინავე კოლმეურნეობა.

ამის შემდეგ გადის რამდენიმე დღე, და ლექტორი ძარწემის კოლმეურნეობის ბრიგადებსა და ფერმებში გამოჩნდება. კოლმეურნეებთან საინტერესო ლექციას აწყობს. გამოთქვამს თავის აზრს წველადობის შემცირების შესახებ და რამდენიმე სასარგებლო რჩევას აძლევს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლ. გუნდიშვილს. საქმიან დარიგებას კარგი შედეგი მოჰყვა — გაიზარდა წველადობა.

ასეთი შემთხვევები ერთეული როდია. შალვა გიორგის-ძეს არ შეუძლია გვერდი აუაროს ნაკლოვანებებს. იგი მებრძოლი სულისკვეთების ადამიანია და საკოლმეურნეო წარმოების ხარვეზებს ვერ ითმენს.

მაგრამ რომ დაინახო წარმოების ნაკლოვანება, საჭიროა ცოდნა, საქმეში ღრმა ჩაწვდომა, კონკრეტულ მდგომარეობაში გარკვევა. ამიტომ იგი სისტემატურად სწავლობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, ნოვატორთა გამოცდილებას, აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს, სწავლობს ადამიანებისაგან და ასწავლის მათ.

რაიონში გაიშალა მოსავლის აღების სამუშაოები. კოლმეურნეთა ფართო მასებს ლექტორი კვლავ მაღალი შეგნებით მოუთხრობს ქვეყნის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. ამჟამად შალვა ნებიერიძე მონდომებით კითხულობს ლექციებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, ემზადება საყოველთაო-სახალხო ზეიმის შესახვედრად.

**ი. თედიაშვილი.**
ს. კეხვი, სტალინირის რ.

## ჭიათურა — ქალაქი მარგანეცი

[illegible]

## დამნაშავეებს [illegible]

[illegible]

## ერთი საწარმოს ფიზკულტურელები



თბილისის მშრომელებისათვის ნაცნობ ადგილას „დინამოს" სტადიონის აღმოსავლეთით, ბრძოლისა და ტელმანის ქუჩების კუთხეში ასწლოვანი ხეებითა და მრავალფერი ყვავილებით გამშვენებული ბაღია. აქ შემსვლელი აუცილებლად შეამჩნევს ბაღის ერთ კუთხეში აღმართულ ლამაზ შენობას. მის კედელზეა აბრა, რომლის წარწერა გამცნობთ, რომ ეს არის თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურის სახლი.

სუფთა და ნათელი დარბაზები, მრავალი სახეობის სავარჯიშო იარაღები, ტანსაცმლის გასახდელი და შხაპებისათვის განკუთვნილი ოთახები — აი საქართველოში ყველაზე დიდი სასპორტო დარბაზის კომფორტი.

დირექტორის კაბინეტში ყურადღებას იპყრობს ხუთი გარდამავალი წითელი დროშა, თერთმეტი ვერცხლისა და ბროლის თასი, სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოპოვებული ორმოცდაათამდე ვიმპელი და რამდენიმე ასეული სიგელი.

ყოველდღე სასპორტო დარბაზებში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ათას ხუთასზე მეტი მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე ეუფლება სპორტს. აქ ნახავთ მძლეოსნობის სექციებში გაერთიანებულ თანრიგოსნებს: ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების მუშას ლევან ნიკოგოსოვსა და ტროლეიბუსის კონდუქტორს იულია ბუნინას, კალათბურთელებს — ელექტროინჟინერ მამია კვაჭანტირაძესა და ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების დამხმარე მუშას რევაზ ლობჟანიძეს, ფრენბურთელებს — სალუზო საამქროს უფროსს ალექსი მირზოევსა და ვატმან ზინა სუხარევას, ფეხბურთელებს — სატვირთო სამსახურის ბრიგადირს ვალერიან ირემაძეს, ავტომანქანის მძღოლს გიორგი ქაცარავას, ვაგონშემკეთებელი საამქროების ზეინკალს ბუდა ტომარაძეს, ტროლეიბუსების ელექტრომემდუღებელს თედორე ააკუშევს და მრავალ სხვა ახალგაზრდას, რომლებიც შრომასთან ერთად წარმატებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობებს.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ტერიტორიაზე, ფიზკულტურის სახლიდან სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯზეა ფრენბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი საზაფხულო მოედანი. იქვეა საზაფხულო პავილიონი, სადაც მაგიდის ჩოგბურთის, შაშისა და ჭადრაკის სექციებში გაერთიანებული ტრამვაელები საწვრთნელ ვარჯიშსა და სატურნირო პირველობებს ატარებენ. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ადამიანისათვის სასიამოვნოა ღია ცის ქვეშ ყოფნა, აქაური ტანმოვარჯიშეები ფიზკულტურის სახლის დარბაზებში წვრთნის ნაცვლად სამმართველოს ტერიტორიაზე კეთილმოწყობილ ტანვარჯიშის საზაფხულო მოედანზე მეცადინეობენ.

რამდენიმე წლის წინათ დედაქალაქის სპორტულ ბაზებს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურელთა კოლექტივმა შემატა სანაოსნო სადგური ლისის ტბაზე. ამ სადგურის ხშირი სტუმრები არიან ტრამვაელები, განსაკუთრებით გამოსასვლელ დღეებში.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს 20-ზე მეტი სასპორტო სექცია რეგულარულად მეცადინეობს ამ კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებზე. ტრამვაელები ამაყობენ თავიანთი ფეხბურთელთა გუნდის წარმატებებით. ამ გუნდს ერთ-ერთი უხუცესი ქართველი ფეხბურთელი სერგო სიხარულიძე ხელმძღვანელობს. როცა შევეკითხეთ გუნდის საქმიანობაზე, მან მომღიმარი სახით გვიპასუხა:

— როგორც ცნობილია, ფეხბურთი სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობაა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ფეხბურთით [illegible] ახალგაზრდა. [illegible] სპორტის ეს სახეობა პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი ფეხბურთის გუნდი საკავშირო პროფსაბჭოს რამდენიმეგზის ჩემპიონია, ხუთჯერ მოიპოვა საქართველოს პირველობა, ორჯერ კი — რესპუბლიკური თასი. გუნდი რამდენიმე წლის წინათ მონაწილეობდა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, სადაც მეოთხედფინალში დამარცხება განიცადა მოსკოვის ვვს-ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან. წელს გუნდმა გაიმარჯვა ქალაქ თბილისის თასის გათამაშებაში და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს თასზე გამართულ შეჯიბრებაში. შარშან ჩვენი რესპუბლიკის პირველობაში მეორე საპრიზო ადგილი დავიკავეთ, ხოლო წელს ჯერჯერობით გათამაშების ლიდერები ვართ და ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო სახელს მოვიპოვებთ.

ფეხბურთელებს თავიანთი წარმატებებითა და მიღწევებით არც კალათბურთელები ჩამორჩებიან, რომლებსაც სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ალექსანდრე ვაჩაძე ხელმძღვანელობს. ამ ფიზკულტურული კოლექტივის კალათბურთელთა გუნდი 1955 წელს როსტოვში სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" ხაზით ჩატარებული საკავშირო შეჯიბრების ჩემპიონია. გასულ წელს გუნდმა საქართველოს პროფსაბჭოს პირველობაზე პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო წელს სოხუმში ჩატარებულ საქართველოს კალათბურთელთა ზამთრის გათამაშებაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

წლების მანძილზე იმართება ქალაქ თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადები. მათში მონაწილეობას იღებენ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო, მოწინავე ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. ტრამვაელებმა მთელი თავიანთი ძალები დაძაბეს, რათა ამ დიდ ღონისძიებაში გამარჯვება მოეპოვებინათ. მათ ეს შეძლეს. ისინი უკვე ორი წელია ინარჩუნებენ პირველ ადგილს.

ამ კოლექტივის მრავალი სახელოვანი სპორტსმენი იცავს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. შრომასა და სპორტში მოწინავე ახალგაზრდები ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო ბაზებში იკაჟებენ სხეულს. ისინი ახალი წარმატებებით ხვდებიან სიჭაბუკის, ძალისა და სილამაზის დღესასწაულს. — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

**გ. ბახტურიძე.**

• • •

სურათზე: ქართული ჭიდაობის სექციის წევრები დურგლები ვ. თედეშვილი და ო. ჭეშმარიტაშვილი ვარჯიშობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## იზრდება საკოლმეურნეო სოფლის კულტურა

ცხაკაიას რაიონში ამ უკანასკნელ ხანს ერთგვარად გაუმჯობესდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. რაიონში გვაქვს 17 სასოფლო კლუბი და 2 სამკითხველო, 10 სასოფლო ბიბლიოთეკა, 1 სარაიონო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი; სოფლებში არის 11 კინოდანადგარი, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის.

მოსახლეობის სიყვარულით სარგებლობს შხეფის სასოფლო კლუბი. აქ ჩამოყალიბებულ სხვადასხვა წრეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეები. აგიტმხატვრული ბრიგადა აწყობს გამსვლელ კონცერტებს უშუალოდ საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ კლუბის გამგე ლ. ხხეიძე დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით „წარჩინებული მუშაობისათვის". აქ ამას წინათ ლიტერატურის წრემ მოაწყო კოლმეურნე ავტორების ნაწარმოებთა განხილვა. ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ჭადრაკის წრე.

ნოსირის სასოფლო კლუბი წელს გადაკეთდა კულტურის სახლად. აქ განსაკუთრებული წარმატება აქვს მომღერალთა გუნდს, რომელსაც ახალგაზრდა ლოტბარი ლ. მიმინოშვილი ხელმძღვანელობს. კულტსახლში იმუშავებენ სხვა წრეებიც. სისტემატურად მოეწყობა ახალი მხატვრული ნაწარმოებების კოლექტიური კითხვა.

კარგად მუშაობს სარაიონო კულტურის სახლის საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან ექიმები, აგრონომები, პედაგოგები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. აგიტმხატვრული ბრიგადა ამზადებს ახალ საკონცერტო ნომრებს.

ფართოვდება კულტურის დაწესებულებათა ქსელი. რემონტი გაუკეთდა თეკლათის სასოფლო კლუბს, ახალი ლამაზი შენობები კლუბებისათვის აიგო ნაქალაქევსა და გეჯეთში, მიმდინარეობს ეკის კლუბის შეკეთება.

ს ა ს უ რ ვ ე ლ ი შედეგები გვაქვს კინომომსახურების საქმეში. მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა ფულადი შემოსავლის ხაზით შესრულებულია 134,2 პროცენტით, მაყურებელთა დასწრებისა — 132,3 პროცენტით. საუკეთესო კინომექანიკოსები კ. შუშანია, მ. ქადარია და ა. სახოკია წარდგენილი არიან საკავშირო ჯილდოზე კულტურის სამინისტროს ხაზით.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის ვაწყობთ ორდღიან სემინარებს, სადაც მიმდინარეობს აზრთა გაცვლა მუშაობის მეთოდების გაუმჯობესების მიზნით. ყურადღებას ვაქცევთ წიგნის პროპაგანდის საკითხსაც. ამას კარგად აწყობს ცხაკაიას საბავშვო ბიბლიოთეკა, რომლის ბიბლიოთეკარი ნინო ყიფიანი აგრეთვე დაჯილდოებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამკერდე ნიშნით.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. მაგალითად, ლეძაძმის, ახალსოფლის, ეკისა და სხვა სოფლების კლუბები და სამკითხველოები ჯერ კიდევ ვერ გამხდარან სოფლად კულტურულ-მასობრივი მუშაობის ცენტრებად. აქ წრეები ნაკლებად უკავშირებენ თავიანთ მუშაობას სამეურნეო საქმიანობის ადგილობრივ, პრაქტიკულ საკითხებს. არ ეწყობა შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან.

ცხაკაიას რაიონი რესპუბლიკის საკმაოდ მოზრდილი რაიონია, რომელსაც ჰყავს ბევრი მოწინავე ადამიანი. სოფელი ის აღარ არის, რაც ძველად იყო. მშრომელთა კულტურა ყოველდღე იზრდება. ამიტომ ჩვენს ამოცანად ვთვლით რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და ხელმძღვანელობით შემდგომში უფრო მეტი ღონისძიება განვახორციელოთ კულტურის დარგში მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**ს. ესართია.**

ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.



თბილისი. საუკეთესოდ მუშაობს და საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სისტემატურად 140 პროცენტით ასრულებს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე ძაფგადამხვევი რ. ცანდაშვილი.
სურათზე: რ. ცანდაშვილი თავის სამუშაო ადგილზე.

## ახალი სკოლა

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ ურავში ააშენეს შვიდწლიანი სკოლის კაპიტალური შენობა. სკოლას აქვს ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, ლაბორატორიები და სხვ. სკოლის ეზოში ირგვება მრავალი წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის მცენარე, გამოყვანილია სასმელი წყალი. გამოყოფილია სასკოლო ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები დაეუფლებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავების წესებს.

## რადიო სოფელს

ხობი. (საკ. კორ.). წელს გათვალისწინებულია ხობის რაიონის კოლმეურნეობათა ოჯახებში დაიდგას 400 რადიოწერტი. მაისში დამთავრდა სოფელ ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რადიოფიკაცია. აქ დაიდგა 215 რადიოწერტი. კოლმეურნეობის კანტორისა და სასოფლო საბჭოს შენობის წინ მოწყობილია ხმამაღლა მოლაპარაკე.

დამთავრდა სოფელ ნოჯიხევის ზენის უბნისა და კოლმეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვის მომვლელთა ბინის რადიოფიკაცია. რადიო გაჰყავთ სოფელ ხეთის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში. 150 კოლმეურნის ოჯახში მალე დაიდგმება რადიორეპროდუქტორები.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ტელეფონი გაყვანილია ორ კოლმეურნეობაში და ერთ საბჭოთა მეურნეობაში.



ქ. ზუგდიდი. ადგილობრივი კულტურისა და დასვენების პარკი მშრომელთა საყვარელი ადგილია. კვირადღეს აქ ბევრი მშრომელი ისვენებს. სურათზე: ნავით სეირნობა ხელოვნურ ტბაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ახალი წარმატებებისათვის ფიზკულტურულ მუშაობაში

წელს ფიზკულტურელის საკავშირო დღე აღინიშნება საბჭოთა ხალხის პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის არნახულმა განვითარებამ, მოწინავე სოციალისტური კულტურის აყვავებამ განაპირობეს მიღწევები ფიზკულტურისა და სპორტის დარგშიც.

განვლილი წელი საბჭოთა სპორტის ისტორიაში შევა როგორც გრანდიოზული მოვლენებისა და თვალსაჩინო გამარჯვებების წელი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ოლიმპიურ ასპარეზობაში და მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩვენმა სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის — თავისი მასშტაბით ამ არნახული ღონისძიებისათვის — გულმოდგინედ ემზადებოდნენ ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელები.

სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში საქართველოში შეიქმნა ფიზკულტურის 79 ახალი კოლექტივი, ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდა 25 ათასი კაცით. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა სპარტაკიადაზე დაიკავეს საერთო-გუნდური მეხუთე ადგილი; ამასთან ხუთმა ჩვენმა სპორტსმენმა მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო 25-მა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგების მიხედვით შედგენილ იქნა ჩვენი ქვეყნის ნაკრები ოლიმპიური გუნდები მელბურნში გასაგზავნად. საქართველოდან მელბურნში გაემგზავრა ათი სპორტსმენი, რომელთაგან რვა დაბრუნდა მედლით, ამასთან მოჭიდავეებმა გ. კარტოზიამ და მ. ცალქალამანიძემ ჩამოიტანეს ოქროს მედლები.

ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საქმეში, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებაში მოპოვებული მიღწევებისათვის და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისათვის ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სპორტსმენების, მწვრთნელების და ფიზიკური კულტურის მუშაკების დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არის ჩვენი რესპუბლიკის 37 წარმომადგენელი.

მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა მიაღწიეს ახალ წარმატებებს როგორც სპორტის მასობრიობის განვითარებაში, ისე მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებაში.

სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამას წინათ თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ მსოფლიო პირველობაში, შედიოდა საქართველოს ოთხი წარმომადგენელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო მ. ცალქალამანიძემ და გ. სხირტლაძემ საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ფრენბურთსა და კალათბურთში „ბ" კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდებმა. როგორც ფრენბურთელებმა, ისე კალათბურთელებმა „ა" კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ფართოვდება და მტკიცდება ქართველ სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, შედიან რა საკავშირო ნაკრებ გუნდებში, მტკიცედ იცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. გარდა ამისა, რესპუბლიკის ცალკეული სასპორტო გუნდები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, სადაც აწყობენ მეგობრულ შეხვედრებს, აგრეთვე თავიანთ სამშობლოში იღებენ უცხოელ მეგობრებს. მიმდინარე წელს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები იყვნენ პირმაში, ხოლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის ფეხბურთელები — ირანში. თბილისის სტადიონზე საერთაშორისო მეგობრული შეხვედრები ჩაატარეს ინგლისის, რუმინეთის, თურქეთისა და ირანის ფეხბურთელებმა. ახლო მომავალში მოსალოდნელია, რომ გვესტუმრებიან იუგოსლავიის ტანმოვარჯიშეები, შეხვედრები გვექნება ბულგარეთის ხუთჭიდელებთან. გათვალისწინებულია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გამგზავრება ავსტრიაში.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ და მას შემდეგ შემდგარმა საკავშირო შეჯიბრებებმა გამოავლინეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების არსებითი ნაკლოვანებანი ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის დარგში. არასახარბიელო შედეგები გვიჩვენეს სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა ველოსპორტში, ფრენბურთში, ცხენოსნობაში, ტყვიის სროლაში და განსაკუთრებით მძლეოსნობაში. თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს ჩვენმა მოკრივეებმა, მტანგისტებმა, კალათბურთელებმა.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაგვისახეს სერიოზული ამოცანები მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებას (განსაკუთრებით სოფლად და სკოლებში), მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას, სასპორტო ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობას, მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი და მისი ორგანოები ადგილებზე სუსტად უწევენ კონტროლს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების მუშაობას. მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ხელმძღვანელები თავის მხრივ არ უწევენ დახმარებას ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს, არ იღებენ ღონისძიებებს ახალი სასპორტო ნაგებობების და მოედნების მშენებლობისა და არსებულთა კეთილმოწყობისათვის. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენმა", საქართველოს „ჰიდროენერგომშენმა" დააყოვნეს სტადიონების, დარბაზების და სხვა სასპორტო ნაგებობების მშენებლობა, რაც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით და სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობა, ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირი სათანადოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი სასპორტო საქონლისა და ინვენტარის წარმოება და რეალიზაცია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მოვალეობაა ძირეულად გააუმჯობესონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, რათა სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მართლაც მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდეს. თვითეულ სკოლაში უნდა შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად ჩატარდეს როგორც ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, ისე პრაქტიკული მეცადინეობა სპორტის ცალკეულ სახეობაში.

სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ზრდა ბევრად არის დამოკიდებული კეთილმოწყობილი სასპორტო ბაზების არსებობაზე. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ყოველწლიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სასპორტო მშენებლობა, მწყობრში დგებიან ახალი ნაგებობანი. თბილისში შენდება რესპუბლიკაში უდიდესი სადემონსტრაციო სასპორტო დარბაზი, ტანვარჯიშის დარბაზი, საბავშვო სასპორტო სკოლა, მიმდინარეობს საზაფხულო საცურაო აუზის რეკონსტრუქცია და სხვ.

ბევრი რამ კეთდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. საცურაო აუზები ეწყობა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისში, ფოთში, გორსა და ბორჯომში, საჭიდაო დარბაზები — გორში, სტალინირში, საგარეჯოში, კასპისა და გარეუბნის რაიონებში, ჩოგბურთის კორტები — ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოს სპორტსმენებს მოუხდებათ მონაწილეობის მიღება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკის სპარტაკიადაში, რომლის პროგრამა წინა სპარტაკიადასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოებულია. ამ პასუხსაგებ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მზადება უკვე დაიწყო.

სპორტის ზოგიერთ ჩამორჩენილ სახეობაში მუშაობის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები.

ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის ნიჭიერ მძლეოსანთა გამოვლინების მიზნით რესპუბლიკის რაიონებში იყო თბილისელი წამყვანი მწვრთნელების დიდი ჯგუფი. მეცადინეობაზე და შეჯიბრებებზე დასწრებისას სპეციალისტებმა შეარჩიეს პერსპექტივის მქონე ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთა შემდგომმა დაოსტატებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მძლეოსნების ნაკრები გუნდის გაძლიერებას.

იმ მიზნით, რომ მწვრთნელებსა და მასწავლებლებს საშუალება მიეცეთ განუწყვეტლივ აიმაღლონ კვალიფიკაცია, ფიზკულტურის ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნება მუდმივმოქმედი კურსები, სადაც მომზადებული იქნებიან და კვალიფიკაციას აიმაღლებენ მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრები. გარდა ამისა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან იქმნება ოსტატობის ასამაღლებელი სკოლა ფიზკულტურული აღზრდის მასწავლებელთათვის, მწვრთნელებისა და სპორტის წამყვანი ოსტატებისათვის, რომლებიც საწვრთნელი მუშაობისათვის ემზადებიან.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა — მიაღწიონ ახალ წარმატებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის განვითარებაში, მიაღწიონ სპორტული ოსტატობის ახალ აღმავლობას. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

**გ. სიხარულიძე,**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## რიგელების გამოცდილებიდან

★

### ატომის ენერგიის გამოყენება სამშვიდობო მიზნებისათვის

რიგელების სოციალისტურმა შეჯიბრებამ საქართველოს დედაქალაქ თბილისის მშრომელებთან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის დიდი გამოცოცხლება გამოიწვია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა, აგრეთვე ნოვატორ პრაქტიკოსთა მუშაობაში, რომლებიც ცდილობენ რიგის ქარხნებში სულ უფრო მეტად გამოიყენონ ატომის ენერგია, რადიაქტიური იზოტოპები.

ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია ერთგვარი წარმატებები ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში. მაგალითად, საზღვაო ფლოტის გემმშენებელ და გემშემკეთებელ ქარხანაში, აგრეთვე ატლანტიკის სათევზაო ფლოტის გემშემკეთებელ ქარხანაში წარმატებით იყენებენ რადიაქტიური კობალტის იზოტოპს გემის გვერდების ლითონის ფურცლებში ბზარების აღმოსაჩენად და ა. შ.

სამშვიდობო მიზნებისათვის ატომის ენერგიის უფრო ფართო გამოყენების საკითხის შესახებ ქალაქ რიგაში არაერთხელ ჰქონიათ თათბირი მოსკოვის, ლენინგრადის, ვილნიუსის, ტალინის და რიგის მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა დაამზადეს მთელი რიგი აპარატები და ხელსაწყოები, რომლებშიც გამოყენებულია რადიაქტიური იზოტოპები. ეს აპარატურა წარმატებით მუშაობს და ნაჩვენები იყო საერთაშორისო გამოფენებზე ჟენევაში, პრაღაში, დელში, ტოკიოში. მაგრამ მეტწილად ეს საზომი ხელსაწყოები იყო და მეცნიერებს დღემდე არ გამოუყენებიათ ატომის ძალა ფაბრიკებსა და ქარხნებში სხვადასხვა საწარმოო პროცესების გასაუმჯობესებლად. ახლა ასეთი ხელსაწყოები დამზადებულია და მათ იყენებენ ბოთლების დასათვლელად ლიმონათის ქარხნებში, აგრეთვე ტიუბიკების დასათვლელად და შესამოწმებლად ქალაქის საპარფიუმერიო ქარხნებში. ავიღოთ თუნდაც კბილის პასტის ტიუბიკები. წინათ მათი დათვლა შრომატევადი სამუშაო იყო. საჭირო იყო ოცი ტიუბიკის აწონა და მათი საშუალო წონის განსაზღვრა. მაგრამ ტიუბიკებს შორის შეიძლებოდა აღმოჩენილიყო შეუვსებელიც. ახლა ტიუბიკებს ამოწმებენ სტრონციუმ-90-ს რადიაქტიური იზოტოპებით. ამიტომ არც ერთი შეუვსებელი ტიუბიკი არ შეიძლება მოხვდეს მზა პროდუქციის საწყობში.

რადიაქტიურ იზოტოპებს იყენებს ელექტროტექნიკური ქარხნის „ვეფის" კოლექტივიც. ამ ქარხანაში მუშაობს ბევრი სხვადასხვა აპარატი, რომელთა შემწეობით შეიძლება გარკვეულ იქნას სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების სიზუსტე, გაიზომოს ტემპერატურა და ა. შ. რადიაქტიური იზოტოპების შემწეობით მოწმდება შედუღებული ნაწიბურები ლითონებში. საინტერესო ცდებს ახდენენ რიგის სატელევიზიო ცენტრში, სადაც რადიაქტიური იზოტოპების შემწეობით საპროექციო აპარატების მუშაობა ისეა დაყენებული, რომ მომდევნო პროექტორი ავტომატურად ჩაირთვება მოქმედებაში, როგორც კი წინა პროექტორში დამთავრდება კინოფილმი.

ქალაქ რიგის მრეწველობაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში და, კერძოდ, რესპუბლიკის მეცხოველეობაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებაზე აქტიურად მუშაობენ ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. პეივე, აკადემიკოსი პროფესორი ამხ. სტრადინში და სხვა მეცნიერები, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსები.

### ავტომატი, რომელიც ტელეფონით გადმოგვცემს ცნობებს ამინდის შესახებ

ლატვიის რკინიგზის ნოვატორმა ინჟინრებმა ამხ. ბ. ულასევიჩმა, ი. კრუმბერგსმა და ა. პრიბილევმა დაამზადეს ავტომატი, რომლის შემწეობითაც შეიძლება ტელეფონით გავიგოთ, როგორი ამინდია იმ ადგილას, სადაც ავტომატია მოთავსებული. ამ დანადგარის კონსტრუქცია მეტად მარტივი და გონებამახვილურია. ავტომატი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური დანადგარი, რომელიც სადღაც ეზოშია მოთავსებული და აღჭურვილია საზომი ხელსაწყოებით. ეს ხელსაწყოები აღნუსხავენ არსებულ ბუნებრივ მოვლენებს და შეუფერხებლად გადასცემენ იმპულსებს სპეციალურ აპარატს, რომელიც მოთავსებულია ავტომატური სატელეფონო სადგურის დარბაზში. მექანიკური ხელსაწყოებისა და ელექტროხელსაწყოების მთელი სერიის დახმარებით მიღებული ელექტროიმპულსები იძლევიან ვიბრაციებს და უკვე წინათ მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიტყვები და ციფრები ადგენენ მთელ წინადადებას — ცნობას იმის შესახებ, თუ როგორი ამინდია ამ დროს აღნიშნულ ადგილას.

მომავალში ასეთი აპარატურა დაიდგმება ლატვიის სს რესპუბლიკის ბევრ ქალაქში და ყოველთვის შესაძლებელი იქნება რიგიდან ტელეფონით იმის გაგება, თუ სად როგორი ამინდია. ეს რკინიგზას დიდად გაუადვილებს მეტეოროლოგიური რუკის შედგენას. მაგრამ ამ სიახლის გამოყენება არ ამოიწურება მარტო რკინიგზით. მისდამი დიდ ინტერესს იჩენენ რესპუბლიკის როგორც კავშირგაბმულობის, ისე მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაკები.

**ხ. ვეცვაგარსი,**
ლატვიის კპ ცენტრალური კომიტეტის და ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანოს — გაზეთ „ცინიას" კორესპონდენტი.

## ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი გაგრაში

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მოწვევით გაგრაში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი პროგრესული მწერალი, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს ოლდრიჯი.



ოლდრიჯის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის მკითხველთა ფართო წრისათვის მისი წიგნებით „ორმოცდამეცხრე შტატი", „ზღვის არწივი", „დიპლომატი" და სხვ., რომლებიც ჩვენში გამოცემულია დიდი ტირაჟით.

მეორე მსოფლიო ომის დროს ოლდრიჯი, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, მოგზაურობდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, ორჯერ იყო საბჭოთა კავშირში.

ამჟამად პროგრესული მწერალი თავისი ოჯახით ისვენებს კურორტ გაგრაში.

ჩვენთან საუბარში ოლდრიჯმა განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში მე უკვე მესამედ ჩამოვედი. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე მოწვევა დასასვენებლად ჩამოვსულიყავი გაგრაში — ასეთ მშვენიერ კურორტზე. საქართველოში პირველად ვიმყოფები. უნდა ითქვას, რომ მომხიბლა აქაურმა სილამაზემ, მარადმწვანე ცადაზიდულმა მთებმა, ლურჯმა ცამ, მოლივლივე ზღვამ. მე და ჩემი ოჯახის წევრები თავს მშვენივრად ვგრძნობთ. ლამაზი საქართველოს შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს და გამიგონია, მაგრამ ნახულმა ყველაფერს გადააჭარბა. მსურს ახლოს გავეცნო თქვენს ხალხს. ვფიქრობ, რამდენიმე დღით ჩავიდე რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში...

მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი გაგრაში მუშაობას განაგრძობს ახალ ნაწარმოებზე ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებიდან.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## მეგობრობის კონცერტი

ბაქოს ჰაჯიბეკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი კონცერტზე დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა. მეგობრობის ეს შესანიშნავი კონცერტი დაიწყო თბილისის მეცხრე მუსიკალური სკოლის პირველი კლასის მოსწავლის სვეტლანა ალიევას გამოსვლით. ის შეცვალა ბაქოს მეექვსე მუსიკალური სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ნათელა წინამძღვრიშვილმა.

ხალხით გაჭედილი დარბაზი ორი დღის განმავლობაში შეუნელებელი ინტერესით უსმენდა ბაქოსა და თბილისის მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა გამოსვლებს და თვითეულ მათგანს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდა.

ამ სკოლების მეგობრობა შემდეგნაირად დაიწყო: სამი წლის განმავლობაში თბილისში ჩამოდიოდნენ ბაქოს მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგები გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და კონსულტაციისათვის. წელს კი ბაქოს მეექვსე სკოლამ მიიწვია თბილისის მეცხრე სკოლა.

მიწვევა მიღებულ იქნა და მეცხრე სკოლამ (დირექტორი ი. ხარაბაძე) წინასწარ დიდი მუშაობა გასწია. ყველა კლასში გაიმართა საგადარჩევო კონცერტები, შერჩეულ იქნა თხუთმეტი საუკეთესო, ნიჭიერი მოსწავლე.

თხუთმეტ მოსწავლესთან გაჰყვნენ ათი მასწავლებელი და მშობლები. თბილისელთა დელეგაცია ორმოცი კაცის შემადგენლობით გაემგზავრა მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში.

ბაქოში ჩასვლისას სტუმრები განსაკუთრებული ყურადღებით და გულთბილად მიიღეს. ხუთი დღე დაჰყვეს თბილისელებმა ბაქოში, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, მუზეუმები და თეატრები, პარკები და ქუჩები, იყვნენ მუსიკალურ სკოლებში, დაესწრნენ გაკვეთილებს. დასასრულ მასპინძლებმა და სტუმრებმა საკუთარი ძალებით გამართეს კონცერტი ბაქოს ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში.

ბაქოელმა ბიჭებმა და გოგონებმა მუსიკის შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ნ. წინამძღვრიშვილი (პედაგოგი ა. ქულგაჩევა), ჰ. გაჯიევი და ბ. რაშიდოვი (პედაგოგი ს. კასიმოვა), ა. მელქონიანი (პედაგოგი ტ. ბაგიხანოვა), მ. პლოტკინა (პედაგოგი ს. შალატი), ვ. კარპუშოვა (პედაგოგი გ. იუტკევიჩი), რ. გინჯეციანი (პედაგოგი პ. გოლდბერგი).

თბილისელ მოსწავლეთაგან განსაკუთრებული წარმატება ხვდათ: ს. ალიევას, ნ. ხუხუნაშვილს, გ. ხუციშვილს, თ. მანოიანს, გ. ცხოვრებაძეს, ს. რჟანოვსკის, ი. ედიგეის.



ბაქოს მე-6 მუსიკალური სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ნათელა წინამძღვრიშვილი როიალთან.

მეტად საინტერესო იყო, რომ კონცერტის დროს აზერბაიჯანელი მოსწავლეები ასრულებდნენ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, ხოლო ქართველი მოსწავლეები — აზერბაიჯანელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. გარდა ამისა მათს პროგრამაში დიდი ადგილი ეჭირა რუს და ევროპელ კლასიკოსთა უკვდავ ნაწარმოებებს, საბჭოთა კომპოზიტორების პიესებსა და ეტიუდებს.

ბაქოდან გამომგზავრებისას სტუმრებმა მომავალი სასწავლო წლისათვის თბილისში მოიწვია ბაქოს მეექვსე მუსიკალური სკოლის კოლექტივი.

ორი სკოლის მეგობრობამ ნათლად გვიჩვენა ის დიდი სიყვარული, რომელიც აკავშირებს და აერთებს მოძმე რესპუბლიკების ხალხებს.

**გ. გოგიჩაიშვილი.**



სურათზე: — ფოლადის ლენტის ზუსტად დასაყოფი აპარატის მოდელის გასინჯვა რადიაქტიური იზოტოპების მეშვეობით.

ფოტო ბ. ტიკნუსისა.

## ჩინელი მხატვარი თბილისში

ქართველი მხატვრების მხარდამხარ ერთი ჩინელი ოხტატიც მოღვაწეობს. ეს არის ხან შან ლუნი, რომელიც საქართველოს 1955 წლის აგვისტოში ეწვია და მას შემდეგ ქალაქ თბილისის მკვიდრი მცხოვრები გახდა.

ხან შან ლუნი 41 წლისაა. იგი დაიბადა კორეაში ღარიბი გლეხის ოჯახში. კორეიდან მხატვარი თავის სამშობლო ჩინეთში გადასახლდა. ჯერ ცხოვრობდა შანხაიში, შემდეგ — ხარბინში. აქ მან პირველი შემოქმედებითი წრთობა მიიღო. იგი იმ ჩინელ მხატვართა პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ხან შან ლუნს უმთავრესად პორტრეტული ფერწერა იტაცებს. მას შექმნილი აქვს რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები: „ლენინი", „მაო ძე-დუნი", „ჩინელი მსახიობი ქალი" და სხვ. პორტრეტულ ჟანრთან ერთად ხან შან ლუნი ფერწერის სხვა დარგებშიც მუშაობს. მას ბევრი საინტერესო ტილო აქვს შექმნილი ჩინეთის ცხოვრების თემებზე.

ჩინეთის ეროვნულ ფერწერას მდიდარი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩინელმა მხატვრებმა განვითარების მეტად მაღალ დონეს მიაღწიეს ადამიანის, ბუნებისა და ცხოველების გამოსახვაში. მათ მუდამ ცხოვრების ფართო ხილვა და ტექნიკისა და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნება ახასიათებდათ. ჩინური ფერწერა ყოველთვის გამოხატავდა თანადროულობის ინტერესებსა და ხალხის სანუკვარ ოცნებებს.

ინარჩუნებენ და ავითარებენ რა თავიანთ საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს, ჩინელი მხატვრები ქმნიან ახალ ორიგინალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც ნათლად ისახება ჩინეთის თანამედროვე ცხოვრება.

ჩინელი მხატვრების უმეტესობისაგან გამორჩევით, ხან შან ლუნის შემოქმედებისათვის ძლიერ დამახასიათებელია მიდრეკილება ძველი ჩინური მინიატიურების სტილისადმი, ოღონდ იმ თავისებურებით, რომ იგი მუშაობს არა წყლის, არამედ ზეთის საღებავებით.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ხან შან ლუნმა მონაწილეობა მიიღო 1955 წელს მოწყობილ საქართველოს მხატვართა გამოფენაზე. ამჟამად მხატვარი ხან შან ლუნი გატაცებით მუშაობს კომპოზიციათა სერიაზე, რომელიც მიძღვნილია ქართული ხალხური ცეკვების თემატიკისადმი. ამ მიზნით ჩინელი მხატვარი ეცნობა ძველ ქართ[...] ისტორიულ წყაროებს, სწავლობს ქართ[...] ეროვნულ კოსტიუმებს, დადის ქართ[...] თეატრებში და ითვისებს ქართველი ხ[...]ხის ეროვნულ თვისებებს.

**ო. სანებლიძე,**
საქართველოს სსრ ხელოვნების ს[...] ხელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მ[...]შაკი.



სურათზე: მხატვარ ხან შან ლუნის ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც ექსპონირებუ[...] საქართველოს მხატვართა გალერეაში.

ფოტო შ. ჩხეტიანი[...]

### ქართველი საბჭოთა კომპოზიტორები ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის

დაძაბული შემოქმედებითი შრომის პერიოდს განიცდიან ამჟამად ქართველი საბჭოთა კომპოზიტორები. ისინი ინტენსიურად ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი **ანდრია ბალანჩივაძე** მუშაობს სიმფონია № 2-ზე, რომელსაც იგი დიდ თარიღს უძღვნის.

**ალ. მაჭავარიანი** წერს ბალეტს „ოტელო", რომელსაც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის მოსკოვში დგამს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. საბალეტო სპექტაკლს განახორციელებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი, რომელიც ამავე დროს ბალეტის ლიბრეტოს ავტორია.

**შალვა მშველიძე** ამთავრებს „საზეიმო უვერტიურას" სიმფონიური ორკესტრისათვის.

კომპოზიტორი **დავით თორაძე** ოპერისა და ბალეტის თეატრთან ერთად მუშაობს ოპერაზე „გრიბოედოვი", რომლის ლიბრეტო ეკუთვნის პოეტ ი. ნონეშვილს.

**ა. შავერზაშვილმა** დაამთავრა ორატორია „ლენინი".

**ა. ბუკია** წერს ოპერას „არსენა მარაბდელი". კომპოზიტორს უკვე დამთავრებული აქვს პირველი ორი მოქმედება.

კომპოზიტორი **სულხან ცინცაძე** მუშაობს ერთნაწილიან სიმფონიეტაზე № 2.

### გურჯაანში არის გაზი

გურჯაანი. (საკ. კორ.). გეოლოგიური პარტია ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელ წყალს ეძებდა. ბურღმა 260 მეტრის სიღრმეს მიაღწია და მოხდა ის, რაც კახეთში წყლის ჭების ბურღვისას არც ერთხელ არ შენიშნულა — გაზისა და წყლის ძლიერმა ტალღამ ამოტყორცნა.

შემდეგ ბურღვის გაგრძელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბარიტიანი თიხის ხსნარის გამოყენებით. 507 მეტრის სიღრმიდან წყალმა და გაზმა შემცირებული დებიტით იწყო დენა.

ეს იყო ორი წლის წინათ. მას შემდეგ ამ ძვირფას საწვავს — გაზს მხოლოდ ახტალის ხევისპირა უბნის მოსახლენი იყენებდნენ.

ამ გარემოებას კარგა ხანს ადევნა თვალყური აბანოს ცეცხლფარეშმა ვასილ უშაკოვმა. შემდეგ მან თვითონვე მოაწყო წყლისაგან გაზის გამოსაცალკევებელი დანადგარი. გაზი ასამასი მეტრის მანძილიდან მილით გაიყვანა აბანოში და გაზით აბანოს გათბობა სცადა. პირველმა შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა და მალე ამ გაზის გამოყენებით დაზოგილ იქნება რამდენიმე ათეული ათასი მანეთი — საწვავის და სამი ცეცხლფარეშის ხელფასის ხარჯები.

სპეციალისტების აზრით ხელახალი ბურღვის შედეგად შეიძლება დიდად გაიზარდოს გაზის დებიტი. მაშინ განხორციელდება ქალაქ გურჯაანის გაზიფიცირება.

### დღეს თეატრებსა და კინოებში

#### თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ბახჩისარაის შ[...]ვანი (დილას), დაისი (საღამოს, სეზონის დ[...]ვა), **რუსთაველის სახელობის** — ახალგ[...] მასწავლებელი, **ფილარმონია** — იუმორის[...] სატირის საღამო (საზაფხულო თეატრი, 9 [...]

#### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (სა[...]რო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **26 კ[...]რის სახელობის** (საზამთრო), **პლეხანოვის**[...] **ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კომუ**[...]**ბის ბაღი** — მე შევხვდი ქალიშვილს, [...]**ნი** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **სპარ**[...] — ბალერინას ბედი, **ოქტომბერი** (საზაფხ[...] — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **ისანი** ([...]ხულო) — ბატონი 420 (I და II სერია), **თბი**[...] — გაზაფხული ყინულზე, **კომკავშირელ**[...]ასი სერენადა, **26 კომისრის სახელობის** (ს[...]ხულო) — გული მღერის, **საქართველო** ([...] დარბაზი) — შიშის საფასური, **საქართვ**[...] (წითელი დარბაზი), **კოლმეურნე** — ბაში-ა[...] **კოლხიდა** (საზამთრო), **გორკის სახელობის** [...]**ტურის სახლი, ოფიცერთა სახლი** — თ[...] ცოცხლე; წყენა, **ძერჟინსკის სახელობის კლ**[...] — მღერის ივ მონტანი, **ძერჟინსკის სახელ**[...] **საზაფხულო კლუბი** — ტყუპთა ოინები, **დ**[...]**ბე** (საზამთრო) — გაზაფხულზე, **დიდუბე** [...]ზაფხულო) — ქალიშვილს პაემანზე მიეჩქა[...] **კიროვის სახელობის პარკი** — ქეთო და [...] **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — მას უ[...]ხარ, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური** [...]**ტურის სახლი** — გაზაფხული, **ვაკის პარ**[...] დავით გურამიშვილი, **კოლხიდა** (საზაფხ[...] — ბორანი.

## სპორტის ამბები

### ქართველი მოჭადრაკე ქალები

ქართველი ქალები ჭადრაკს ყოველთვის დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ. ჭადრაკმა მისი გამოგონებიდან (ინდოეთი, VI საუკუნე) სულ მალე დაისადგურა ქართველი ხალხის გულში და საუკუნეთა მანძილზე მისი კულტურული ყოფის დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

ძველ ქართულ საზოგადოებაში ჭადრაკი ინერგებოდა ოჯახების მეშვეობით, სადაც აღზრდა-განათლების საქმე დიასახლისს ჰქონდა მინდობილი. ძველმა ქართულმა მწერლობამ მართალია შემოგვინახა ცნობები საქართველოში ჭადრაკის განვითარების შესახებ, მაგრამ ძლიერ მოჭადრაკე ქალებზე არავითარი ცნობა არ დაგვიტოვა.

საქართველოში ჭადრაკი მეტად ფართოდ იყო გავრცელებული XVIII საუკუნეში. იგი ამშვენებდა ყველა შეძლებულ ოჯახს. სწორედ ამ პერიოდიდან ტრადიციად იქცა გასათხოვარი ქალიშვილისათვის მზითვად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან" ერთად სპილოს ძვლის ჭადრაკის მიცემა.

როგორც თბილისის 1830-იანი წლების ერთ-ერთი გაზეთი იუწყება, ქალაქის მრავალ ოჯახში ქალები ჭადრაკით ერთობოდნენ. ჭადრაკს თამაშობდნენ დიდებული პოეტის ა. ჭავჭავაძის ქალიშვილები, რომელთაგან ეკატერინემ თამაში შეასწავლა თავის ვაჟიშვილს ანდრია დადიანს, შემდეგში გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს.

XIX საუკუნეში რაჭა-ლეჩხუმში კარგი მოჭადრაკის სახელი ჰქონდა ფოტინე ჩიქოვანს (1812-1907 წწ.), რომელსაც მშობლებმა მზითვად რუსთაველის გენიალურ პოემასთან ერთად ჭადრაკი გაატანეს. ფ. ჩიქოვანი მონაწილეობდა ქუთაისში გ. დადიანის სალონში გამართულ შეხვედრებში. ერთ-ერთ ასეთ საღამოს ფ. ჩიქოვანმა მოუგო პარტია ჭადრაკის მოყვარულ პოეტს მამია გურიელს.

ძლიერ მოჭადრაკედ არის ცნობილი აგრეთვე მწერალი „ლაჯანურის ბანოვანი" (ც. გელოვანი).

მაგრამ ძველად ქალები ოჯახსა და სალონებში თუ შეხვდებოდნენ რიგიან მოჭადრაკეებს, რადგან მათთვის სხვა არავითარი ასპარეზი არ იმართებოდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი ქალების გამოსვლა ჭადრაკის ფართო ასპარეზზე. 1927 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში რეგულარულად იმართება ქალთა ტურნირები. საქართველოს მოჭადრაკე ქალები ე. ზაუტაშვილი, ვ. ზარგარიანი, ლ. გელოვანი, ქ. გოგიავა, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ხაჭაპურიძე და სხვები ცნობილი არიან ჩვენს ქვეყანაში. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მოჭადრაკე ქალთა აღზრდის საქმეში დიდი მუშაობა წარმოებს. ბევრი გააკეთა ამ მხრივ თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტმა (ხელმძღვანელი ვ. ქარსელაძე), რომლის აღსაზრდელები დღეს საკავშირო სპორტულ სარბიელზე არიან გამოსული.

**თ. გიორგაძე.**

### ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა კრივში

სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის I და II გუნდი, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის მოკრივეთა გუნდები.

პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში ჯ. რაზმაძე (თბილისი), მჩატე წონაში ჯ. კვანტალიანი (ქუთაისი), ქვემსუბუქ წონაში თ. ბოლქვაძე (აჭარა), მსუბუქში — კ. ხაგულოვი (თბილისი), პირველ ქვესაშუალოში — ი. გაიდამაკი (აჭარა), მეორე ქვესაშუალოში — ვ. გრიგორიანი (თბილისი), პირველ საშუალოში — რ. ჯახუა (თბილისი), მეორე საშუალოში — რ. აკოფოვი (თბილისი), ქვემძიმეში — თ. ნებიერიძე (თბილისი) და მძიმეში — ა. ლეტუჩი (თბილისი).

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის I გუნდმა, მეორე — თბილისის II გუნდმა, ხოლო მესამე — ქუთაისმა.



სურათზე: თბილისის „დინამოსა" დ[...] სტამბოლის (თურქეთი) კალათბურთელ[...] თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

### თბილისელ კალათბურთელთ[...] მეორე გამარჯვება

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე [...]მართა მეორე საერთაშორისო ამხანაგური [...]ვედრა კალათბურთში. თამაშობდნენ ქ. სტ[...]ლის სპორტული კლუბის „გალატასარაის" [...] თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟ კალათბ[...]თელთა გუნდები.

შეხვედრა იწყება თბილისელთა იერი[...] რომლებიც მალე ანგარიშს ხსნიან. თურქ[...]ლათბურთელები საჯარიმო ტყორცნებ[...] ათანაბრებენ ანგარიშს. შემდეგ ინიცია[...] თანდათანობით თბილისელების ხელში გად[...] და პირველი ნახევარი მთავრდება მათი უ[...]ტესობით ანგარიშით 35:27.

მეორე ნახევარში ინიციატივა კვლავ თბი[...]სელთა ხელში იყო და შეხვედრა მოიგეს [...]რიშით 64:42.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა**

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროს — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 01982 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.